„ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“

ფუნდამენტური კვლევითი საგრანტო პროექტი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

24 თებერვალი 2023 – 24 თებერვალი 2025

პროექტის აკადემიური გუნდი:

იოსებ კელენჯერიძე - პროექტის ხელმძღვანელი

გვანცა ჩადუნელი - პროექტის კოორდინატორი

გიორგი ფარულავა - კვლევითი გუნდის წევრი

დანიელ ფერნანდო კინტერო - საერთაშორისო კონსულტანტი

პროექტის მიზანს წარმოადგენდა ციფრული ეკონომიკის პირობებში ქართული კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის სისტემური კვლევა, აგრეთვე მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს კრიტიკული შეფასება თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების გათვალისწინებით.

კვლევა ფოკუსირებული იყო ციფრული ბაზრებისა და ონლაინ პლატფორმების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებზე, ასევე მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკისა და ალგორითმული მექანიზმების გავლენის კრიტიკულ შეფასებაზე კონკურენციის სამართლის ეფექტიან აღსრულების კონტექსტში.

შესრულებული პროექტი წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში პირველ ფუნდამენტურ ქართულენოვან კვლევას, რომელიც აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ ანალიზს. კვლევის ფარგლებში გამოიცა პუბლიკაცია, რომელიც ინტეგრირებულია სამართლისა და ეკონომიკის მიმართულებების სასწავლო სილაბუსებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი სამართლებრივი და პოლიტიკის გამოწვევები, რომლებიც აფერხებს კონკურენციის პოლიტიკის ადაპტაციას ციფრული ეკონომიკის რეალობასთან, შემუშავდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

გამოქვეყნებული აკადემიური სტატია:

“GEORGIAN COMPETITION LAW IN THE DIGITAL AGE, GEORGIAN PRACTICE AND EXISTING CHALLENGES”

სამეცნიერო ჟურნალი LAW AND WORLD

https://lawandworld.ge/index.php/law/article/view/535

გამოქვეყნებული კვლევითი მასალა (წიგნი):

“ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში”

ISBN 978-9941-9662-4-8

https://law.org.ge/ge/publications/books

დასკვნითი საერთაშორისო კონფერენცია:

„ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“

15 თებერვალი 2025, თბილისი

https://law.org.ge/ge/conferences/10

კონფერენციაში მონაწილეთა რაოდენობა:
დაახლოებით 70 მონაწილე (აკადემიური პერსონალი, საჯარო უწყებების წარმომადგენლები, პრაქტიკოსები)

უცხოური პარტნიორები:
პარიზის პანთეონ-ასასის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)

დიაგრამა ასახავს პროექტის მიერ შექმნილი ცოდნის ტრანსფორმაციას აკადემიური შედეგებიდან პოლიტიკის დონემდე.

წიგნის გავლენა და მნიშვნელობა

პროექტის ფარგლებში გამოცემულმა წიგნმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კონკურენციის სამართლის განვითარებაში. ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკულ და აკადემიურ სახელმძღვანელოს, რომელიც გამოიყენება უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესში, ასევე საჯარო უწყებებისა და პრაქტიკოსი იურისტების მიერ. წიგნი ავსებს ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ სიცარიელეს და ხელს უწყობს ქართული სამართლის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

დასკვნითი ტექსტი:

პროექტი წარმატებით განხორციელდა. მიღწეული შედეგები ხელს უწყობს კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის განვითარებას ციფრული ეკონომიკის პირობებში. მადლობას ვუხდით შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, პარტნიორ ინსტიტუციებსა და პროექტში ჩართულ ყველა მონაწილეს მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.